

სარეკომენდაციო ვერსია

ინსტრუქცია პრეპარტის სამედიცინო გამოყენების შესახებ

ინფორმაცია პაციენტებისათვის

**გაბაგამა® 300მგ, მკვრივი კაფსულები**

**გაბაპენტინი**

**პრეპარატის გამოყენებამდე წაიკითხეთ ინსტრუქცია:**

- შეინახეთ ეს ინსტრუქცია, შესაძლოა კიდევ დაგჭირდეთ მისი წაკითხვა.
- მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს კითხვით, თუ დაგჭირდებათ დამატებითი ინფორმაცია ან რეკომენდაციები.
- ეს მედიკამენტი დაგენიშნათ თქვენ ინდივიდუალურად, ნუ გადასცემთ მას სხვას, შესაძლოა პრეპარატმა ზიანი მიაყენოს სხვას იმ შემთხვევაშიც თუ მასაც აღენიშნება მსგავსი სიმპტომები.
- თუ გამოვლინდება რომელიმე გვერდითი ეფექტი ან შენიშნავთ ისეთ მოვლენას, რომელიც არ არის აღწერილი გამოყენების ინსტრუქციაში აცნობეთ ექიმს ან ფარმაცევტს.

**გამოყენების ინსტრუქცია შეიცავს:**

1. რას წარმოადგენს გაბაგამა მკვრივი კაფსულები და რისთვის გამოიყენება
2. ინფორმაცია გაბაგამა მკვრივი კაფსულების გამოყენებამდე
3. გაბაგამა მკვრივი კაფსულების მიღების წესი
4. მოსალოდნელი გვერდითი ეფექტები
5. გაბაგამა მკვრივი კაფსულების შენახვის წესი
6. დამატებითი ინფორმაცია

**1. რას წარმოადგენს გაბაგამა მკვრივი კაფსულები და რისთვის გამოიყენება?**

გაბაგამა მკვრივი კაფსულები მიეკუთვნება პრეპარატების კლასს, რომლებიც გამოიყენება ეპილექსიისა და პერიფერიული ნეიროპათიული ტკივილების დროს (ხანგრძლივი ტკივილები, რომლებიც გამოწვეულია ნერვის დაზიანებით). გაბაგამა მკვრივი კაფსულების აქტიური ინგრედიენტი არის გაბაპენტინი.

გაბაგამა მკვრივი კაფსულები გამოიყენება:

- ეპილექსიის სხვადასხვა ფორმებისას (დასაწყისში კრუნჩხვები განისაზღვრება მხოლოდ ტვინის გარკვეულ ნაწილში ან არ ვრცელდება ტვინის სხვა ნაწილზე). ექიმი დანიშნავს გაბაპენტინს, მაგალითად, დამხმარე საშუალების სახით ეპილექსიის სამკურნალოდ, როდესაც მკურნალობის დროს პაციენტის მდგომარეობის კონტროლი არ არის სრულად შესაძლებელი. გაბაპენტინი უნდა მიიღოთ მიმდინარე მკურნალობისას დამატებით საშუალებად, თუ ვერ ხერხდება შემდეგი ინსტრუქციების დაცვა.

ასევე გაბაპენტინის გამოყენება შესაძლებელია ცალკე მონოთერაპიის სახით უფროსებში და მოზარდ ბავშვებში 12 წლის ასაკის ზემოთ.

- პერიფერიული ნეიროპათიური ტკივილისას, რომელიც გამოწვეულია ნერვის დაზიანებით. პერიფერიული (ვლინდება უმთავრესად ქვედა კიდურებში და (ან) ზედა კიდურებში) სხვადასხვა დაავადებებით გამოწვეული ნეიროპათიული ტკივილებისას, როგორცაა დიაბეტი და სარტყელისებრი სირსველი. ტკივილის შეგრძნებები შესაძლოა გამოვლინდეს როგორც ცხელება, წვა, ყრუ ტკივილი, ჩხვლეტისმიერი ტკივილი, მწვავე ტკივილი, სპაზმი, ჩხვლეტა, დაბუჟება და სხვა.

**2. გაბაგამა მკვრივი კაფსულების გამოყენებამდე**

**გაბაგამა მკვრივი კაფსულების გამოყენება არ შეიძლება**

- თუ პაციენტს აღენიშნება ალერგია (ჰიპერმგრძობელობა) აქტიური ნივთიერების ნივთიერება - გაბაპენტინის მიმართ ან პრეპარატის შემადგენლობაში შემავალი ნებისმიერი დამხმარე ინგრედიენტის მიმართ.

## **საჭიროა განსაკუთრებული სიფრთხილე გაბაგამა მკვრივი კაფსულების გამოყენებისას:**

- თუ აღინიშნება თირკმლის პრობლემები, შესაძლოა საჭირო გახდეს დოზირების კორექცია.
- ჰემოლიალიზის გამოყენების შემთხვევაში (თირკმლის უკმარისობისას); თუ ვლინდება სიმპტომები, როგორცაა კუნთების სპაზმი და/ამ სისუსტე აცნობეთ ექიმს.
- თუ პაციენტში გამოვლინდება ნიშნები, როგორცაა მუცლის მუდმივი ტკივილი, ღებინება და გულისრევა, დაუყონებლივ უნდა მიმართოს ექიმს. (შესაძლოა ეს იყოს მწვავე პანკრეატიტის სიმპტომები).

პაციენტთა მცირე ნაწილს, რომლებიც იღებენ ეპილეფსიის საწინააღმდეგო საშუალებებს, როგორცაა გაბაპენტინი, შესაძლოა აღენიშნებოდეს სუიციდური აზრები და ქმედებები. ამ მოვლენის გამოვლენის შემთხვევაში დაუყონებლივ მიმართეთ ექიმს.

## **სხვა მედიკამენტების გამოყენება**

გთხოვთ, აცნობოთ ექიმს ან ფარმაცევტს თუ იღებთ ან ციტა ხნის წინ მიიღეთ სხვა მედიკამენტი მათ შორის ურეცეპტოდ გაცემულიც.

### მედიკამენტები რომლებიც შეიცავენ მორფინს

აცნობეთ ექიმს ან ფარმაცევტს, თუ იღებთ ნებისმიერ მედიკამენტს, რომელიც შეიცავს მორფინს, ვინაიდან მორფინმა შესაძლოა გაზარდოს გაბაპენტინის ეფექტურობა.

### ანტაციდები, რომლებიც გამოიყენება კუჭის პრობლემებისათვის

თუ გამაგამას მკვრივი კაფსულები მიიღება ერთდროულად ალუმინთან ან მაგნიუმის შემცველ მედიკამენტებთან ერთად კუჭის წვენის შესამცირებლად (ანტაციდურები), შესაძლოა გამაგამას კაფსულების კუჭიდან აბსორბცია დასუსტდეს. ამიტომ რეკომენდებულია გამაგამას კაფსულების მიღება სულ მცირე ორი საათის შემდეგ ანტაციდურების მიღებიდან.

### გაბაგამას მკვრივი კაფსულები

გაბაგამას მკვრივი კაფსულები და სხვა ანტიეპილეფსიური საშუალებები ან ჩასახვის საწინააღმდეგო ტაბლეტები არ ურთიერთქმედებენ.

გაბაგამას მკვრივმა კაფსულებმა შესაძლოა ზეგავლენა მოახდინონ ზოგიერთ ლაბორატორიულ კვლევებზე. თუ იკეთებთ შარდის ანალიზს აცნობეთ ექიმს, რომ იღებთ სხვა სამკურნალო საშუალებას.

## **გაბაგამას მკვრივი კაფსულების მიღება საკვებ და სასმელ პროდუქტებთან ერთად**

გაბაგამას მიღება შესაძლებელია საკვებთან ერთად ან მის გარეშე.

## **ორსულობა**

გაბაგამას გამოყენება არ შეიძლება ორსულობის დროს, თუ ექიმი არ მიიჩნევს აუცილებლად. ქალებმა უნდა მიიღონ ეფექტური ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებები. ორსულებში გაბაპენტინის გამოყენების შესახებ სპეციალური კვლევები არ ჩატარებულა, მაგრამ ეპილეფსიის საწინააღმდეგო საშუალებების გამოყენება ორსულობის დროს იწვევს ნაყოფზე დეფექტის და ზიანის განვითარების მაღალ რისკს, განსაკუთრებით თუ ერთდროულად მიიღება დამატებითი ეპილეფსიის საწინააღმდეგო საშუალებები. ამიტომ უნდა შეეცადოთ, რომ ორსულობის დროს მიიღოთ მხოლოდ ერთი ანტიეპილეფსიური საშუალება და ისიც მხოლოდ ექიმის დანიშნულებით. მიმართეთ აუცილებლად ექიმს, თუ გაბაგამას მკვრივი კაფსულების გამოყენებისას აღინიშნება ორსულობა ან გეგმავთ ორსულობას. არ შეიძლება გამაგამა მკვრივი კაფსულებით თერაპიის უეცრად შეწყვეტა, რადგან აქტიური ნივთიერების ორგანიზმში დეფიციტის გამო შესაძლოა გამოვლინდეს კრუნჩხვითი შეტევა და შედეგად სერიოზული ზიანი მიაყენოს თქვენს შვილს.

### **ლაქტაციის პერიოდი**

გაბაგამა მკვრივი კაფსულების აქტიური ნივთიერება, გაბაპენტინი გამოიყოფა დედის რძეში. არ არის ცნობილი, თუ რა გავლენას ახდენს თქვენს ბავშვზე ძუძუთი კვება მკურნალობის პერიოდში. ამიტომ გაბაპენტინით მკურნალობის დროს არ უნდა კვებოთ ჩვილი ძუძუთი, თუ ექიმი არ დანიშნავს პრეპარტს განსაკუთრებულ შემთხვევაში. მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს ნებისმიერი მედიკამენტის გამოყენებამდე.

### **ზეგავლენა ავტომობილის და მექანიზმების მართვის უნარზე**

გაბაპენტინმა შესაძლოა გამოიწვიოს თავბრუსხვევა, ძილიანობა და დაღლილობა. არ უნდა მართოთ ავტომობილი ან შეასრულოთ პოტენციურად საშიში მოქმედებები, სანამ არ გამოვლინდება წამლის ურთიერთქმედება.

### **მნიშვნელოვანი ინფორმაცია გაბაგამას მკვრივი კაფსულების ზოგიერთი კომპონენტის შესახებ**

გაბაგამას მკვრივი კაფსულები შეიცავენ ლაქტოზას. თუ ექიმი გაცნობებთ, რომ გახასიათებთ აუტანლობა ლაქტოზას (შაქრის) მიმართ აცნობეთ ექიმს ამ პრეპარატის გამოყენებამდე.

### **3. გაბაგამას გამოყენების წესი**

ყოველთვის მიიღეთ გაბაგამას მკვრივი კაფსულები ექიმის დანიშნულების მიხედვით. მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს გაურკვევლობის შემთხვევაში. ექიმი შეგიჩვენებთ ინდივიდუალურად საჭირო დოზას. დაუყონებლივ მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს, თუ ფიქრობთ, რომ გაბაგამას მკვრივი კაფსულები მოქმედებენ ძლიერად ან სუსტად. ხანდაზმულ პაციენტებში (65 წელზე ზემოთ) მიიღება ჩვეულებრივი დოზა, თუ არ აღინიშნება თირკმლის დარღვევები. თუ სახეზეა თირკმლის გართულებები, მაშინ შესაძლოა ექიმმა შეცვალოს დოზირება და მიღების წესი. მიიღეთ გაბაგამა მკვრივი კაფსულები იმ ხანგრძლივობით რაც დაგინიშნათ ექიმმა.

### **მიღების წესი**

გაბაგამას მკვრივი კაფსულები მიიღება შიგნით. კაფსულა უნდა გადაყლაოთ მთლიანად საკმარისი რაოდენობის წყლის მიყოლებით.

### **რეკომენდებული დოზა ეპილეფსიის სამკურნალოდ:**

#### **მოზრდილები და მოზარდები:**

მიიღეთ ექიმის მიერ დანიშნული კაფსულების ზუსტი რაოდენობა. ექიმმა შესაძლოა გაზარდოს დოზა თანდათან. საწყისი დოზა ჩვეულებრივ შეადგენს 300მგ-დან 900-მდე დღეში. შემდეგ შესაძლოა დოზა გაიზარდოს თანდათან მაქსიმუმ 3.600მგ-მდე დღეში დაყოფილი 3 მიღებად (ერთი დილით, მეორე შუადღეს და მესამე საღამოს).

#### **ბავშვები 6 წლის ასაკიდან და მოზრდილებში:**

ბავშვის დოზას განსაზღვრავს ექიმი და დამოკიდებულია ბავშვის წონაზე. მკურნალობა იწყება დაბალი საწყისი დოზიდან, რომელიც თანდათან იზრდება დაახლ. 3 დღის განმავლობაში. ჩვეულებრივი დოზა ეპილეფსიის სამკურნალოდ შეადგენს 25-35 მგ/კგ დღეში. ეს დოზა უნდა დაიყოს 3 მიღებად კაფსულების ან ტაბლეტების ყოველდღე გამოყენებისას. ჩვეულებრივ დილას, შუადღეს და საღამოს.

**მედიკამენტი გაბაგამა მკვრივი კაფსულები არ გამოიყენება 6 წლამდე ასაკის ბავშვებში.**

### **რეკომენდებული დოზა პერიფერიული ნეიროპათიული ტკივილების სამკურნალოდ** **მოზრდილები:**

მიიღეთ კაფსულები ის რაოდენობა, რაც დაგინიშნათ ექიმმა. ექიმი თანდათანობით გაზრდის დოზას. საწყისი დოზა ჩვეულებრივ შეადგენს 300მგ-დან 900მგ-მდე დღეში. შესაძლებელია შემდგომში დოზის თანდათანობით გაზრდა მაქსიმუმ 3.600მგ-მდე დღეში დაყოფილი 3 მიღებად (დილას, შუადღეს და საღამოს).

**თუ აღინიშნება თირკმლის პრობლემები ან პაციენტი არის ჰემოდიალიზზე დამოკიდებული**

ექიმში დანიშნავს დოზირების სხვადასხვა სქემას თირკმლის პრობლემების არსებობის და/ან ჰემოდიალიზის გამოყენების დროს.

**თუ მიიღეთ გაბაგამას ჭარბი რაოდენობა**

ჭარბი დოზის გამოყენება იწვევს გვერდითი ეფექტების გაძლიერებას, მათ შორის გონების დაკარგვას, თავბრუსხვევას, მხედველობის გაორებას, მეტყველების გართულებას, ძილიანობას და დიარეას. დაუყონებლივ მიმართეთ ექიმს ან სამედიცინო დახმარებას. თან იქონიეთ კაფსულების შეფუთვა და ინსტრუქცია ექიმთან წარსადგენად.

**თუ დაგავიწყდათ გაბაგამას მიღება**

თუ დაგავიწყდათ რეკომენდებული დოზის მიღება, მიიღეთ ის გახსენებისთანავე, თუკი არ ახლოვდება მომდევნო დოზის მიღების დრო. არ მიიღოთ ორმაგი დოზა გამოტოვებული დოზის კომპენსირების მიზნით.

**თუ გსურთ გაბაგამას მიღების შეწყვეტა**

არ შეწყვიტოთ გაბაგამა მკვრივი კაფსულების მიღება ექიმის რეკომენდაციის გარეშე. მკურნალობა უნდა შეწყდეს თანდათან მინიმუმ 1 კვირის განმავლობაში. გაბაგამას მკურნალობის უეცარი შეწყვეტის შემთხვევაში იზრდება ტკივილის შეტევის და კრუნჩხვის გამოვლენის რისკი. პრეპარატის გამოყენებასთან დაკავშირებით დამატებითი კითხვების შემტხვევაში მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.

**4. მოსალოდნელი გვერდითი მოქმედებები**

ნებისმიერი მედიკამენტის მსგავსად გაბაგამას მკვრივმა კაფსულებმაც შესაძლოა გამოიწვიოს გვერდითი ეფექტები, თუმცა არა ნებისმიერ პაციენტში.

დაუყონებლივ მიმართეთ ექიმს, თუ შენიშნავთ შემდეგი სიმპტომებიდან რომელიმეს აღნიშნული პრეპარატის მიღების შემდეგ, ეს მოვლენები ვლინდება ძალიან იშვიათად, მაგრამ შესაძლოა იყოს ძალიან სერიოზული:

- კანის რთული რეაქციები, რომელიც საჭიროებს ექიმის დროულ ჩარევას, ტუჩებისა დას ახის შეშუპება, კანზე გამონაყარი და სიწითლე ან თმისცვენა (შესაძლოა იყოს რთული აღერგიული რეაქციის სიმპტომი).
- ხანგრძლივი მუცლის ტკივილი, ღებინება და გულისრევა, რადგან ეს შესაძლოა იყოს მწვავე პანკრეატიტის სიმპტომები (კუჭქვეშა ჯირკვლის ანთება).

თუ ხართ ჰემოდიალიზზე დამოკიდებული აცნობეთ ექიმს, თუ აღინიშნება კუნთების ტკივილი და/ან სისუსტე.

**სხვა არასასურველი ეფექტები:**

**ძალიან ხშირი გვერდითი ეფექტები (ვლინდება 10 პაციენტიდან 1- ზე მეტში):**

- ვირუსული ინფექციები
- შეუძლოდ ყოფნა, თავბრუსხვევა, კოორდინაციის დარღვევა
- დადლილობა, ცხელება.

### **ხშირად გამოვლენილი გვერდითი ეფექტები (ვლინდება 100 პაციენტიდან 1-დან 10-ში)**

- ფილტვების ანთება, სასუნთქი გზების ინფექციები, საშარდე გზების ინფექციები, ყურების ანთებები ან სხვა ინფექციები.
- სისხლის თეთრი უჯრედების რაოდენობის შემცირება
- მადის დაკარგვა, მადის მომატება
- სხვა პირების მიმართ აგრესია, დაბნეულობა, ხასიათის ცვლილება, დეპრესია, შიში, ნევროზულობა,
- კრუნჩხვა, უნებლიე საქციელი, მეტყველების დარღვევა, გონების დაბინდვა, კანკალი, ძილის დარღვევა, თავის ტკივილები, კანის მგრძობელობა, შეგრძნების შემცირება, კოორდინაციის დარღვევა, თვალების უნებლიე მოძრაობა, გაძლიერებული ან დასუსტებული რეფლექსები.
- დაბინდული მხედველობა, მხედველობის გაორება
- თავბრუსხვევა
- სისხლის მაღალი წნევა, სიწითლე, სისხლძარღვების გაფართოვება, ხველა, ცხვირის სიმშრალე ან შეგუბება
- ღებინება, გულისრევა, კბილების პრობლემები, ღრძილების პრობლემები, ფაღარათი, კუჭის ტკივილი, საჭმლის მონელების დარღვევა, შეკრულობა, პირის ან ყელის სიმშრალე, შებერილობა.
- სახის, შეშუპება, სისხლჩაქცევები, გამონაყარი, ქავილი, აკნე
- სახსრების ტკივილი, კუნთების ტკივილი, ზურგის ტკივილი, კუნთების კრთომა
- ერექციის დარღვევა (იმპოტენცია)
- ხელ-ფეხის შეშუპება, სიარულის გართულება, სისუსტე, ტკივილი, შეუძლოდ ყოფნა, გრიპის მსგავსი სიმპტომები
- სისხლის თეთრი უჯრედების შემცირება, წონაში მატება
- დაზიანებები, ძვლის მოტეხილობა, კანის აქერცვლა

ბავშვებში ჩატარებულმა კლინიკურმა სტუდიებმა დაადასტურებს დამატებით ხშირად გამოვლენილი აგრესიული საქციელი.

### **არახშირი გვერდითი მოვლენები (ვლინდება 1.000-დან 1-დან 10 ში):**

- ალერგიული რეაქციები, როგორცაა ჭინჭრის ცხელება
- მოძრაობის შეზღუდვა
- გულის კუმშვის სისძირის გაზრდა
- შეშუპება, რომელიც მოიცავს სახეს, ტანს და კიდურებს
- სისხლის ანალიზის ანომალიური მაჩვენებლები, რომლებიც უკავშირდება ღვიძლის პრობლემებს

### **ბაზარზე იმპორტირების შემდეგ აღინიშნა შემდეგი გვერდითი მოქმედებები**

- თრომბოციტების რაოდენობის შემცირება (სისხლის შედედების უჯრედების)
- ჰალუცინაციები
- მოძრაობის დარღვევა, როგორცაა კრთომა, უნებლიე საქციელი, სიმყიფე
- ყურებში შუილი
- სიყვითლე კანზე და თვალებზე
- ღვიძლის ანთება
- კუჭქვეშა ჯირკვლის ანთება
- თირკმელების მწვავე უკმარისობა, შარდის შეუკეცებლობა
- მკერდის გადიდება
- გაბაპენტინის სწრაფი მოხსნის სიმპტომები (შიში, ძილის დარღვევა, ღებინება, ტკივილი, ოფლიანობა), მკერდის ტკივილი
- სისხლში შაქრის დონის ცვლილებები

თუ ნებისმიერი გვერდითი ეფექტი მიიღებს სერიოზულ სახეს ან აღინიშნება ისეთი მოვლენა, რომელიც არ არის აღწერილი გამოყენების ინსტრუქციაში მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.

## 5. გაბაგამა მკვრივი კაფსულების შენახვის პირობები

მელიკამენტი შეინახეთ ბავშვებისაგან მიუწვდომელ ადგილას.

არ გამოიყენოთ გაბაპენტინი შეფუთვაზე აღნიშნული ვარგისიანობის ვადის გასვლის შემდეგ. ვარგისიანობის ვადა ვრცელდება აღნიშნული თვის ბოლო დღემდე.

ინახება არაუმეტეს 25°C ტემპერატურაზე.

პეკ/ალ ბლისტერი: ინახება საწყის შეფუთვაში.

ფლაკონი: ფლაკონი უნდა შეინახოს დახურულ მდგომარეობაში. გახსნის შემდეგ ვარგისია 12 კვირა

სამკურნალო საშუალება არ გადაადგოთ კანალიზაციაში ან საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან ერთად. ჰკითხეთ ფარმაცევტს მისი უტილიზაციის შესახებ. ეს ღონისძიებები ხელს შეუწყობს გარემოს დაცვას.

## 6. დამატებითი ინფორმაცია

### რას შეიცავს გაბაგამას მკვრივი კაფსულები

აქტიური ნივთიერება არის გაბაპენტინი, ყოველი მკვრივი კაფსულა შეიცავს 300მგ გაბაპენტინს. დამხმარე ნივთიერებებია: ლაქტოზა, სიმინდის სახამებელი, ტალკი, უელატინი, ტიტანის დიოქსიდი (E171) და რკინის ჰიდროქსიდი (E172).

### გაბაგამა მკვრივი კაფსულების გარეგნული სახე და შეფუთვის შემადგენლობა:

#### მკვრივი კაფსულები

გაბაგამა არის მკვრივი უელატინის კაფსულები არაგამჭვირვალე ყვითელი ზედა და ქვედა კორპუსით.

#### ბლისტერი

შეფუთვა შეიცავს 20, 30, 50, 100, 200 (2X100) მკვრივ კაფსულას

#### ფლაკონი

შეფუთვა შეიცავს 100 მკვრივ კაფსულას.

შესაძლოა ყველა შეფუთვა არ იყოს რეალიზაციაში.

### ფარმაცევტული საწარმო:

ვორვაგ ფარმა გმბჰ&კო.კგ

კალვერ შტრასე 7, D-71034 ბოებლინგენი

ტელ: 07031/6204-0; ფაქსი: 07316204-31

ელ-ფოსტა: [info@woerwagpharma.de](mailto:info@woerwagpharma.de)

### მწარმოებლები:

არტესან ფარმა გმბჰ & კო.კგ

გენდლანშტრასე 1, D-29439 ლუეხოვი

დრაგენოფარმი აპოთეკერ პუელში გმბჰ

გოელშტრასე 1

D-84529 ტიტმონინგი

და

მედის ინტერნაციონალ ა.ს.

კარლოვო ნამესტი 319/3, 120 00 პრაღა 2.

ჩეხეთის რესპუბლიკა  
და  
ვოერვაგ ფარმა გმბჰ&კო.კგ  
კალვერ შტრასე 7, 71034 ბოებლინგენი

**ეს სამედიცინო პრეპარატი ნებადართულია ევრო გაერთიანების წევრ ქვეყნებში  
შემდეგი დასახელებით:**

ჩეხეთის რესპუბლიკა	Gabagamma 300mg
გერმანია	Gabagamma 300mg Hartkapsel
იტალია	Gabapentin AWP
ლიტვა	Gabagamma 300mg Ketos kapsules
პოლონეთი	Gabagamma 300mg
სლოვენია	Gabagamma 300mg trde kaspule
სლოვაკეთი	Gabagamma 300mg
დანია	Gabagamma 300mg harde kapsler

ინსტრუქციის ბოლო გადამოწმების თარიღი: 2011 წლის მარტი.  
ვოერვაგ ფარმა გმბჰ&კო.კგ, კალვერ შტრასე 7, D-71034 ბოებლინგენი

200 მკვრივი კაფსულა N3 შიგნით მისაღები  
ბაბაბამა® 300 მკვრივი კაფსულები  
აქტიური ნივთიერება: გაბაპენტინი

**შემადგენლობა:**

ყოველი 300 მკ მკვრივი კაფსულა შეიცავს 300მგ გაბაპენტინს.  
შეიცავს ლაქტოზას.  
გაეცანით ფურცელჩანართს.

გაიცემა ექიმის რეცეპტით.  
ინახება არაუმეტეს 25°C ტემპერატურზე.  
შეინახეთ საწყის შეფუთვაში  
გამოყენებამდე გაეცანით ინსტრუქციას  
შეინახეთ ბავშვებისაგან მიუწვდომელ ადგილას

ნებართვის №60127.01.00  
PZN 4215453

ვოერვაგ ფარმა გმბჰ&კო.კგ  
კალვერ შტრასე 7, 71034 ბოებლინგენი  
ელ-ფოსტა: [info@woerwagpharma.com](mailto:info@woerwagpharma.com)

პარტიის ნომერი:  
ვარგისიანობია ვადა:

**გაცემის წესი:**

ფარმაცევტული პროდუქტის ჯგუფი I, გაიცემა ფორმა N2 რეცეპტით.



D579

**ბაბაბამა® 300მგ**

**მკერფი კაფსულები**

ვოერვაგ ფარმა გმპზკო.კგ

ბოებლინგენი

ვარგისიანობის ვადა/სერიის ნომერი: იხ. შეფუთვაზე

*N 33-1210-00*

*ბეჭედდასმულია*